63
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 171
ავგისტოს 13, სამშაბათი 1902 წ.
1877

ივერია

№ 171
ავგისტოს 13, სამშაბათი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ნატალია მერაბის ასული გაბუნია-ცაგარლისა და ივანე და გიორგი ანტონის ძენი ცაგარლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი მეუღლისას, მეორენი ძმისას

ავქსენტი ანტონის ძის ცაგარლისას,

სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდებზე 12 საათზე დილით და საღამოს 8 საათზედ. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ავჭალის ქუჩა, სახლი გაგნიძისა.

ნინა თადეოზის ასული, მღვდელი ფილიპპე და ვასილ ფილიპპეს-ძე კვარაცხელიები აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 17 აგვისტოს, დილის 10 საათზე, დანიშნულია ორმოცის წირვა და პანაშვიდი, პირველის მეუღლისა, მეორის ძისა, ხოლო უკანასკნელის ძვირფასის ძმისა

ერასტო ფილიპპეს-ძის კვარაცხელიასი,

სთხოვენ მათ მობრძანდნენ და დაესწრნენ წირვასა და პანაშვიდს სოფ. საკიკიანოს (ზუგდიდის მაზრაში) მაცხოვრის ეკლესიაზედ. (1—401—1)

ფინანსთა სამინისტროს გამგებლობაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა

(იხილე მე-4 გვერდზედ) (25—379—17)

საფთიაქო საქონლით მოვაჭრე ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

(მუხრანიანთ ქუჩიდან) და

მაღაზია

(სასახლის ქუჩიდგან)

გადადის ერთ შენობაში „სევერნი ნომრების“ ქვეშ, კავკასიის მუზეუმის პირდაპირ (გოლოვინსკი პროსპექტის ახლო). (6)

ქუთაისში ბ. ნ. წერეთლის წიგნის მაღაზიაში

(საკრებულო ტაძრის პირდაპირ)

დღეიდგან ისყიდება ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის **აბრეშუმის ქსოვილები ფას-დაკლებით** 25%-ამდე (**ცხვირ-სახოცები, ყელსახვევები (შარფები) ქალთა და კაცთა საჭანისამოსე დარაიები, ფერადი, თეთრი და სხვა**).

მივაქცევთ საზოგადოების ყურადღებას იმ გარემოებას, რომ ამხანაგობის ქსოვილები ბევრად უკეთესია ქარხნის ნაწარმოებზედ თავის გამძლეობით (სიმტკიცით), ვინაიდგან:

1, ამხანაგობის ქსოვილები არის დამზადებული ნამდვილ აბრეშუმის ძაფისაგან.

2, ძაფი არის ხელით ნაკეთები და სხვილი.

ზემო აღნიშნული ღირსებები ამხანაგობის ქსოვილებისა არიან მიზეზი მისი სიძვირისა; ახლა, როდესაც ამხანაგობა ერთად-ერთ ნაკლს თავის ქსოვილებისას,—სიძვირეს—სპობს **ფასის დაკლებით**, ვიმედოვნებთ, პატივცემული საზოგადოება დაეშურება ამხანაგობის ქსოვილების ყიდვას.

ამხანაგობის გამგეობის) თავმჯდომარე პ. მდივანი
) წევრი ვ. კიწმარიშვილი
ამხანაგობის გამგე **ნ. წერეთელი**

(10—6.—8)

ქუთაისის სათავად აზნაურო სასწავლებელი აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსიაა I განყოფილებაში, რომელშიაც მიიღებიან 7 და 8 წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებაში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება 25 აგვისტომდე.

თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს წლოვანობის, აზნაურშვილობის და ყვავილის აცრის მოწმობანი.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 31 აგვისტოს. სწავლა დაიწყება 2 სეკტემბერს. (3—6.—3)

ღირსის მამის ანტონ მარტყოფის მონასტრისაგან.

ამა აგვისტოს 13 რიცხვს, საღამოს და 14 ღირსი მამა ანტონის მარტყოფის მონასტერში **მაღალ ყოვლად უსამღვდელოესის ალექსის**, საქართველოს ეგზარხოსის მიერ გარდახდილ იქმნება სადღესასწაულო წირვა-ლოცვა, რადგან ამ დროს უნდა შესრულდეს კურთხევა მონასტრის წმ. გიორგის უძველესის ტაძრისა და ღირსის მამა ანტონის-მესვეტისა, აგრეთვე ახლად აღშენებულის საძმო ტრაპეზისა. 15 საღამოთი და 16 აგვისტოს მონასტრის ტაძრის დღესასწაულისა გამო **მისის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის** მიერ შესრულებულ იქმნება აგრეთვე სადღესასწაულო ღვთის მსახურებანი ტაძარში, ხოლო საღამოს 16 აგვისტოს ლიტანიით გაემართება მთაზედ, რომელიც ნაკურთხია და განწმედილი ღირსის ძესვეტეს მოღვაწეობითა.

კეთილ მსახურნი პატივის მცემელნი ღირსის ანტონის დღესასწაულისა მოიწვევიან საერთო ლოცვისა და შეძლებისა გვარად დახმარებისათვის წმ. ანტონის მოღვაწეობის ძეგლის განზრახულ განახლების საქმეში—მისის სვეტისა მაღლა მთაზედ და ღირსის სახელზედ ნიშის აშენებისა იმ ადგილს, სადაც ურწმუნოთაგან დაიხოცნენ ათორმეტნი ძმანი. თვითოეული ქვა ატანილი მაღლა მლოცველთაგან, ამ სადღესასწაულო წირვა-ლოცვაში დამსწრეთაგან და ყოველი წვლილი, შემოწირული ამ წმიდა საქმისათვის აღმშენებელთაგან მიიღებიან ულრმესის მადლობით.

ღვთის მსახურებანი დაიწყება ღამისთევით, საღამოს ლოცვა 6 საათზედ, ლიტურგია (წირვა) დილის 9 საათზედ, ლიტანია დაიწყება ნაშუადღევს 4 საათზედ. (3—6.—2)

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების სახლში, (განოვის ქუჩა, № 6) იძლევა ქირით

სადგური,

7 ოთახიანი ყოველის თავის მოწყობილებით წელიწადში 1200 მანეთად. ეს სადგური ამ დღეებში ოტტენმა დასცალა. (3—400—2)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო ნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра **Навасардіанца**. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირის, 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავდმყოფობათა. (წ.)

ტფილისი

◆ † ულმობელმა სიკვდილმა კიდევ გამოგვაცალა ხელიდგან ერთი თვალსაჩინო მოღვაწე: გუშინ ნაშუადღევის 4 საათზედ სამის დღის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ნიჭიერი დრამატურგი აქსენტი ანტონის ძე ცაგარელი.

◆ კავკავში „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ქართულ სკოლაში დაინიშნენ მასწავლებლად ქ-ნ ა. ხახიშვილის მაგივრად არჩილ ავალიშვილი და ნ. კურდღელაშვილის მაგივრად გ. უტურაშვილი.

◆ ჩვენ მოგვივიდა ერევნიდგან ისააკ იორდანაშვილისაგან ხუთი მანეთი ავადმყოფის ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილის გადასაცემად.

◆ ტფილისში ამბავი მოვიდა, რომ სპარსეთის შაჰი მუზაფერ-ედინი ამ თვის გასულს დაბრუნდება სპარსეთს და ამიერ-კავკასიაზედ გაივლის გზადაო.

◆ ტფილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა ბ-ნი ვინოგრადოვი.

◆ ყარსის მოსაზღვრე დარაჯთა ცალკე კორპუსის პორუჩიკს თავადს ერისთავს ებოძა მეოთხე ხარისხის ორდენი წმ. ვლადიმირისა.

◆ ტფილისის ქიმიის ლაბარატორიისათვის ქალაქის გამგეობას უნდა დაიქირაოს კ. ყავრიშვილის სახლი მთაწმინდაში.

◆ ოქტომბერში ინიშნება არჩევნები ქალაქის საკრედიტო სიზოგადოების რწმუნებულთა.

◆ კავკასის სტიპენდიანტებად უკვე რამდენიმე კაცი იქმნა დანიშნული სხვა-და-სხვა უმაღლეს სასწავლებელში; მათ შორის, ჩვენდა სამწუხაროდ არც ერთი ქართველი არ მოჰყვა.

◆ გაზეთების სიტყვით, მიწად-მოქმედების მინისტრი რამდენსამე დღეს ტფილისშიაც დაჰყოფს, როცა კავკასიაში მოვაო.

◆ სათანადო მთავრობა შუამდგომლობს უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ დაარსდეს მეოთხე გიმნაზია ვაჟებისათვას ტფილისში.

◆ მიწად-მოქმედების სამინისტროს აზრად აქვს რამდენიმე სამეურნეო საცდელი სადგური კიდევ დააარსოს ამიერ-კავკასიაში.

◆ ქალაქის ღამის თავშესაფარის ზედამხედველად დაინიშნა სავაჭრო-სამეურნეოს ზედამხედველი ბ-ნი კლიმიაშვილი.

◆ კვირას დანიშნული იყო მსურველთათვის შეშის დამზადების იჯარით გაცემა ქალაქისათვის; იჯარით გაცემა ამ საქმისა არ შესდგა, რადგანაც არავინ წარადგინა ბე.

◆ უსახელო საზოგადოების კასსირმა შეიტანა თხოვნა ქალაქის გამგეობაში და სთხოვა, მიეცეს 4% ქაღალდის კუპონები იმ 5000 მანეთისა, რომელიც შეტანილია ფუნიკულერის გაკეთებისათვის.

◆ ამ დღეებში ტფილისის გამგეობას მოსვლია ქაღალდი ქალაქ ვილნოს საყასბოსა, საქონლის სადგომისა და ლაბორატორიის აღმასრულებელ კომისიისაგან და, რაც შეიძლება ამ მოკლე ხანში გამოგვიგზავნეთ დადგენილება, ინსტრუქცია და ყოველივე საქმის წარმოება, რომელიც შეეხება ტფილისში ხორცის დუქნების დაარსებასაო

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ტფილისის ქალაქის გამგეობას და სთხოვა წარუდგინოს პირები ყველა იმ ქაღალდებისა, რაც-კი ტფილისში ხორცის დუქნების დაარსებას შეეხება.

◆ 9 ამ თვეს ქალაქის ერთს ხორცის დუქანს უვაჭრია 328 მან. 6 კაპ.

◆ რადგანაც ქალაქში ათს აგვისტოდან გუბერნატორის განკარგულებით იარაღის ტარება აეკრძალა მცხოვრებთ, ამიტომ ქალაქის ლომბარდის გამგე შეეკითხა ქალაქის თავს, როგორ მოიქცე დასაგირავებლად მოტანილ იარაღის შესახებაო. ქალაქის მოურავმა აუკრძალა გამგეს იარაღის გირაოდ მიღება.

◆ ტფილისის ობსერვატორიამ ამ დღეებში დაჰბეჭდა და დაურიგა ზოგიერთს დაწესებულებას უკანასკნელი თვისი დაკვირვება ჰაერის ცვალებადობის შესახებ ამიერ-კავკასიაში.

◆ 10 ამ თვეს ქსანსა და მცხეთას შუა ერთმანეთს დეეჯახნენ საქონლის მატარებლები; უბედურება არა მომხდარა-რა, მხოლოდ ცოტად დაშავდნენ ორი კონდუქტორი; დაიმტვრა 17 ვაგონამდე; გზა შეკრული იყო მთელი 5½ საათი, რის გამოისობითაც შუა დღის ხალხის მატარებელმა დაიგვიანა ტფილისში ჩამოსვლა.

◆ ხმა ისმის, რომ მომავალ სექტემბრიდგან, ქრისტეანობის აღმადგენელ საზოგადოების ყველა სკოლა გადადის საქართველოს საეპარქიო სამოსწავლებლო საბჭოს გამგეობაშიო.

◆ დღევანდლამდე დუშეთისა და გორის მაზრის სამრევლო სკოლების ზედამხედველად იყო არხიმანდრიტი დოსითეოსი; ახლა, როგორც გავიგეთ, არხ. დოსითეოსს ჩაჰბარდება მხოლოდ გორის მაზრის სამრევლო სკოლები და დუშეთის მაზრის სამრევლო სკოლების ზედამხედველად-კი ინიშნება ამავე მაზრის ბლაღოჩინი მღვდელი მამა კანდელაკი.

◆ ბათუმის ქართული სკოლის შეკეთება 5 აგვისტოდგან დაიწყეს. 25 აგვისტომდე სკოლა მზად იქნება. შეკეთება უნდა დახეთქილ კედლებს, იატაკს და კედლებს შეღებვა.

◆ ბათუმის ქართველთ კათოლიკეთ ახალი დიდი ეკლესია 7 აგვისტოს პირველად გაანათეს ელექტრონით. კარგა ხანია თურმე, რაც ბათუმისკენ ერთთავად წიიმებია.

◆ 7 აგვისტოს გურიაში 25 კაცამდე იქმნა დაპატიმრებული.

◆ ეს მესამე წელიწადია თურმე, რაც ბათუმის მიდამოებში საზამთროსი და ნესვის მოყვანა დაიწყეს და ამ უკანასკნელ წელიწადს მეტად კარგის თვისების ნესვი და საზამთროც მოვიდა.

◆ 6 აგვისტოს, ბათუმს მოვიდნენ რუსის დიდ ძალი სამხედრო გემები; ახლდათ გემებს მრავლად მენავენი და მეზღვაურნიცა. ზღვაზედ ჰქონდათ სეირნობა და ვარჯიშობა, აღლუმის მსგავსად.

◆ კვირას, გოლოვინის პროსპექტზედ, ერთი სასაცილო ამბავი მოხდა: კახეთიდგან ჩამოსულა ქალაქში უმაწვილი კაცი, აზნაურშვილი ვლადიმერ ბესარიონის-ძე ყიფიანი; გაუგია რა, რომ განკარგულებაა ხანჯლები აიხსნანო, შეუკვეთნია ხელოსნისთვის ხის ხანჯალი. კვირას, ეს უმაწვილი კაცი მოდის გოლოვინის პროსპექტზედ და წელზედ არტყია მშვენიერი ხის ხანჯალი, რომელსაც ნამდვილ ხანჯლისაგან ვერ გამოარჩევდა კაცი. ამ დროს დახვდება მე-2-რე განყოფილების ბოქაული და მისი თანაშემწე, შეაყენებენ უმაწვილ კაცს და სთხოვენ ხანჯლის შემოხსნას. ამ დროს ყიფიანი ჩამოიგლეჯს ქამრიდგან ხის ხანჯალს და იმათ თვალწინ გადაამტვრევს. გუშინ ბ-ნმა ყიფიანმა ქალაქის პოლიცმეისტერს მიართვა თხოვნა, რათა მიეცეს მას ნება ფორმის გულისათვის ხის ხანჯლის ტარებისა.

შეცდომის გასწორება:

„ივერიის“ კვირის ნომერში „ცნობის-ფურცლიდან“ გადმოვბეჭდეთ ამბავი ქუთაისის ქართველ ებრაელთა რაბინის სიმ. რიჟინაშვილის დასაფლავებისა. სამწუხაროდ სტამბას დაჰვიწყებოდა წერილის ბოლოში აღენიშნა, საიდანაც იყო ეს ამბავი გადმობეჭდილი და თვით ამბის მომწერის გვარიც შეცდომით დაებეჭდა, ბოდიშს ვიხდით ამ უნებურ შეცდომისათვის, რ

გორც მკითხველ საზოგადოების, ისე თვით „ცნ. ფურცლის" რედაქციისა და მის მოამბის წინაშე.

ჩვენებური ამბები

ს. მათხოჯი (ქუთ. მაზრა). ამ სოფელს რომ ამ ბოლოს წლებში წინმსვლელობა და წარმატება დაეტყო, ამაში ეჭვი არ არის. რამდენიმე წლის წინად ამ სოფლის მკვიდრნი განათლებასა და სწავლას მტრულად უყურებდნენ, დღეს-კი შეიგნეს სწავლის მნიშვნელობა. ძვირად შეხვდებით ისეთს ბავშვს და 15—18 წლის ყმაწვილს, რომელიც სკოლაში არ დადიოდეს. ბევრისგან გამიგონია: „ტყავი რომ გამძვრეს, ჩემს შვილს ორ-კლასს მაინც გავათავებინებო". რასაკვირველია, ცოტა ხნის შემდეგ ორის კლასის გათავებითაც არ იქმნებიან კმაყოფილნი და უფრო მეტს მოინდომებენ...

როგორც ჩვენის თვალით ვხედავთ და ვრწმუნდებით, ცოტათ თუ ბევრათ წიგნის მცოდნეთა რიცხვი მატულობს, იზრდება, მომავალისათვის ნიადაგი მზადდება, რომ უფრო ჩქარის ნაბიჯით წავიდეს წინ სოფლელების, როგორც ახალგაზდების, ისე ხანში შესულების, გონების განვითარება, საჭიროა დაარსდეს სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც უკვე ფული გროვდება.

ვ. მალაქიაშვილი.

სამეგრელო. წელს მთელს სამეგრელოში ყოველნაირს მიწის მოსავალს სანაქებო პირი უჩანდა. მხვნელ-მთესველის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა და ყველანი გაიძახოდნენ: „ეს არის, ღმერთმა თვისი კალთა უხვებისა წელს სამეგრელოს ნიადაგზედ დაბერტყა-"ო. მართლაც, საითკენაც გაიხედავდი, ყოველგან უკეთესი ჰირნახული წარმოგიდგებოდა თვალ-წინ, მაგრამ შეუბრალებელს და ულმობელს ბუნების სტიქიონს თითქოს შეშურდა ადამის შთამომავლობის ჭაპან-წყვეტით ნაცოდვილარ-ნაოფლარი ჰირნახულიო. 19 ივლისს ცამ პირი გაიღო და დაუშინა კოკის-პირული წვიმა, რომელმაც ორი დღე გასტანა. ამ წვიმებს მოჰყვა მდინარეების და პატარა ღელე-ხრამების აღელვება. ძალზედ მოდიოდნენ მდინარე ტეხური და ხობის წყალი. ხობის წყალმა ერთობ წალეკა ქალა ადგილების ყანები. მდინარე ტეხურმა ყანების გარდა დიდი ზარალი მისცა სოფ. ნოსირს და ისულას. ხსენებულ სოფლის მცხოვრებთ შეუვარდა სახლებში წყალი, დიდი თუ პატარა, ყველანი წივილ-კივილით და „ვინ ხარ, დამეხმარენითის" ძახილით სახლების სახურავებზედ აცვივდნენ. ყოველი ოჯახი დახმარებას ითხოვდა, მაგრამ ვინ იყო მშველელი, როდესაც ყველანი ერთს ტაფაზედ იწვოდნენ. ვისაც ნავები ჰქონდა, დაცურავდნენ და ხალხს იხსნიდნენ დაღუპვისაგან. მრავალი შინაური ფრინველი და პატარა ცხოველები დაახრჩო აზღვავებულმა მდინარეებმა, ადამიანი, ღვთით, უვნებელნი გადარჩა ამ განსაცდელს, რადგანაც ყოველივე ესე დღისით მოჰხდა.

ამ აგვისტოს პირველ რიცხვებს აქეთ, თითქმის, დღე გამოშვებით ხშირი წვიმები მოდის, რაც „ცეცხლზედ ნავთის" დასხმაა ჰირნახულისათვის. ამ დროის წვიმები დიდი მავნებელია ყოველგვარის მცენარეულობისათვის.

წელს, როგორც მაღლობ ადგილებში, ბარშიაც საკმაოდ ასხია „ოდესის" ვაზსა. თითქმის ნახევრი ბამდე დამწიფებულია ყურძენი, მაგრამ დიდი შიში აქვთ აღმოსავლეთის ქარისა, რაც სამეგრელოს დიდი მტერი და გამანადგურებელია. ხილიც ყოველგან საკმაო მოვიდა.

ციებ-ცხელების „სეზონი" უკვე გაიხსნა. ეს ავადმყოფობა უფრო დაბლობ ადგილებში იცის.

ქურდობა და ავ-კაცობა, როგორც ყველგან საქართველოში, აქაც ისეა გახშირებული. ხშირად გესმისთ: ამას ეს და ეს მოჰპარეს, იმას სახლი გაუტეხეს, იგი გაუძარცვავთ და სხვა...

მრავალს ოჯახს სარჩო შემოლეული აქვს. ამიტომ დიდს გასაჭირშია ხალხი. სიმინდის ფასი 70—80 კაპეიკია. ამისი შოვნაც გასაჭირია. ჯერ ახალი სიმინდი არ არის მოსული, რომ იმითი გამოჰკვებონ ჯალაბობა.

ტელეფონი.

ახალ-სენაკი. თითქმის ყოველს დაბა-სოფლებშიაც-კი არის სანიტარული კომისია დანიშნული, ხოლო ამ ჩვენს კურთხეულს დაბაში მისი ხსენება არ არის. არც აქაური პოლიცია აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას. ამიტომ, ხშირად, ყოველგვარი სურსათსანოვაგე აქ გაუსინჯველად იყიდება. კარგი იქნება ამ გარემოებას აქაური პოლიცია ყურადღებას მიაქცევდეს. სასურველია აგრეთვე სასტუმრო-სამიკიტნოებში გაისინჯებოდეს საჭმლის ჰურჭლები...

ახალ-სენაკელი.

ერედვი. (ქართლი), კარგა ხანია, რაც მკითხველებისათვის აღარა გვიუწყებია-რა ერედვისა და, აი ეხლა 7-ს ამ თვეს ნაშუადღევს 2-ს საათზე მოვიდა ისეთი ავდარი და თქეში, რომ სულ ერთიანად წალეკა მთელი მინდორი. ჭირნახული ჯერ ისევ მინდორზე იყო, ბევრი კიდევ მოსამკალია, სიმინდი ხომ ჯერ ორი-სამი კვირაც გასტანს, არ მოიჭრება. სულ გაათხრა ავდარმა და თქეშმა. რაც ნაიდვარს გადარჩა, ისიც ისე დაასხვლა, რომ თუ მალე არ გაიშალა ხელ-ახლა, არ გაშრა, სულ ერთიანად დოდოდ გამოვა. ბევრს სახლებშიაც შეუვარდა წყალი, დააწიოკა ხალხი და უკანასკნელი ფქვილიც-კი გამოაცალა ხელიდან, წაახდინა აგრეთვე ვენახები, როგორც ნაიდვარმა, ისე გადმოკრულ ხოშკაკალამაც. ერთი-სიტყვით ერედვი დღეს არა ნაკლებ დაზარალებულია ცხინვალელ გადამწვრებზე. ასე მოგახსენებენ ძველი კაცები, ამისთანა ავდარი არ გვინახავსო. ზოგან კაცებიც-კი მოიტაცა და კინაღამ ცოდო დაატრიალა.

ვინც რა უნდა სთქვას, და ერედველებზე ზედგამოჭრილია ეს ანდაზა: რაც კაცი თავის თავს უზამს, იმას მტერი ვერ უზამსო და მართალიც არის. დიდი წვიმა კვლავ განა არა ყოფილა, უარესიც, მაგრამ ასეთი საშინელი წყლები-კი არ მოვარდნილა. მიზეზი ამისა ის გახლავთ, სხვათა მრავალთა შორის, რომ ერთი ბეწვა ტყიანი მთა ჰქონდათ, რომელიც იჭერდა წყალს, სინოტიეს აძლევდა ნიადაგს, რომლის გამოც მოსავალიც კარგი იცოდა, ეხლა-კი შეესივნენ მტრებივით ტყეს, ერთმანეთის ჯიბრით გაჩეხეს და წყალი-კი არა, მეწყერიც წაიღებს ერედველებს. თავის თავის გაფრთხილება და შენახვა ღმერთს არ მიუნიჭებია ერედველებისათვის და ამიტომ არც ზრუნვენ თავიანთ სკოლისათვის. ვერ მივხვდით და ვერ გავიგეთ, რა მიზეზია, რომ მზამზარეული საქმე ჩაიფუშ-ჩაიშალა და დავიწყებას მისცა!? თითქო შენობისათვის მასალა მოზიდული იყო, შენობის აშენებაც იჯარითაა გაცემული, ადგილიც ნაშოვნი და რა რისხვა ღვთისა დაეცა ერედველების ბედს და იღბალს, რომ დღემდე არსად არა სჩანს-რა და სრულიად დავიწყებას მიეცა სკოლის საქმე!?.

ახალი და სასიამოვნო ის არის ამ ჟამად ერედვში, რომ სასმელი წყარო გამოჰყავთ სოფლის დასახლოვებით. ბერძნები უკვე შესდგომიან საქმეს და სთლიან აუზისათვის ქვას. იმედია, ამ საქმეს ყველა სიამოვნებით მიეგებება და შეძლებისა და გვარად მხარს დაუჭერენ ერთ-ურთს, როგორც ადგილობრივი მებატონენი, ისე გლეხები. ამასთან აიდ-დაიდებენ და საერთო რჩევით გადასწყვეტენ, სად უნდა დადგან აუზი.

ერედვზე არა ნაკლებ დააზარალა ნაიდვარმა სოფელი ფრისი არგვეტი, სარაბუკი. აგრეთვე დიდი ნაიდვრები და სეტყვა იყო ცხინვალშიაც. სეტყვამ ვენახები წაახდინა და ზოგს ხომ სულ ხელიდამ გამოაცალა წლის სარჩო. სიტყვით, ზარალი დიდია და რა უნდა ჰქმნას მუშა მარჯვენამ, რომელსაც იმედი ჰქონდა თავისი შრომა დაუფასდებოდა და ვენახი მოუბრუნებდა სულს, გამოჰკვებდა ცოლ-შვილს. ეს იმედიც გაუცრუა ბუნების სტიქიონმა და დასტოვა უნუგეშოდ.

ს. ერედველი.

ონი (რაჭის მაზრა). მარიამობისთვის 6, დილის მეშვიდე საათიდგან თოთხმეტჯერ იძრა მიწა, მათგან სამჯერ ისეთი ძლიერი იყო მიწის ძვრა, რომ მთელი ონის მცხოვრებნი თავზარ დაცემულნი ქუჩაში გამოცვივდნენ: ვინ ჩაუცმელი და ვინც როგორ მოასწრო თავის შველა.

მიწის ძვრის დროს მიწიდგან მოისმოდა ძლიერი გუგუნი და გრიალი. მრავალი ქვითკირის შენობა დასკდა და დაირღვა. ეს ორი დღეა საშინელი კოკის-პირული წვიმა მოდის, გამოდარებისას კიდევ მოელიან მიწის ძვრას, რომლისაგანაც ხალხი ძლიერ შეშინებულია და თავზარდაცემული, ვისაც შეძლება და საშუალება აქვს, სცლის ქვითკირის სახლებს და ეძებს სადგომად ხის სახლებს, ზოგი-კი (უფრო სამსახურის კაცნი) აქაურობის მიტოვებას აპირობენ.

ქვეყნიერებას მოწყვეტილს აქაურობას ხშირმა და ძლიერმა ნიაღვრებმა დიდი ზარალი მისცა, წალეკა ყანები და მორიყა, გადმოხეთქა მიწის ზვავები და მეწყერი. იმეწყრება როგორც ჰირნახული, ისე გზები. ერთადერთი საქუთაისო ფოსტის გზა-ტკეცილი ეს სამი დღეა შეკრულია მეწყერისაგან. ონიდგან სულ ნახევარი ვერსის მანძილზედ, ისეთი მეწყერი ჩოირღვა და ჩამოწვა, რომ ორი დღე მიცვალებულიც-კი ვერ გადაასვენეს ზედ-დღესა 9 მარიამობისთვეს ძლივს ფოსტა გადმოიტანეს. ონელების ამ გვარი მდგომარეობა სამწუხაროც არის და საშინელიც.

შოდას-მთა, რომელიც ბუმბერაზივით დაჰყურებს ონს და რომლის კალთებ ქვეშაც გაშენებულია ონი, ამ ჟამად დათოვლილია, რის გამო არა თუ გრილა ონსა და მის მიდამოებში, ცივა კიდეც. უწერის აბანოზედ მყოფნი და აქაური მოაგარაკენი ნელ-ნელა გვეთხოვებიან.

მეთვალყურე.

წერილი ლანჩხუთიდგან.

6-ს აგვისტოს მოხდა მეოთხე კრება ლანჩხუთის უფასო წიგნთსაცავ-სამკითხველოსი. ამ კრებას უნდა განეხილა ყოფილი მმართველის ბ-ნ კირ. წილოსანის თვითნებური საქციელი, რომელიც ერთი თვეა, რაც საზოგადო კრებამ სამკითხველოს გამგებლობიდგან გადააყენა, მაგრამ დღემდე არჩეულ პირებისთვის ანგარიშები არ ჩაუბარებია.

მესამე კრებამ, რომელიც მოხდა 21 ივლისს, ბ-ნ კირ. წილოსანს აპატივა 90 მანეთი და დანარჩენის (350 მ.) გარდახდა დაავალა ერთის კვირის განმავლობაში. ერთი კვირის გასვლის შემდეგ არჩეულმა პირებმა მოინდომეს ანგარიშების ჩაბარება ბ-ნ კ. წილოსანისაგან, მაგრამ უარი განაცხადა: „44 მანეთის ანგარიშები კიდევ ვიპოვნე და თუ იმასაც გამოჰრიცხავთ, დანარჩენს ჩაგაბარებთო". გამგეობამ და სარევიზიო კომისიამ უთხრეს: „ვიანგარიშოთ და, თუ მართალი გამოდგება შენი განცხადება, სიამოვნებით მივიღებთო". მაგრამ ამაზე უარი სთქვა და მოითხოვა უანგარიშოთ გამოკლება 44 მანეთისა. ამ დავაში ერთის მაგიერ ორი კვირა გავიდა, ბევრი მოციქულებიც დაიარნენ, მაგრამ არაფერი გამოდნა. დაინიშნა კრება. ამ კრებას ბ-ნმა წილოსანმა მოახსენა: მართალია 21 ივლისის კრებამ დაადგინა გარდამხდეს 350 მანეთი, მაგრამ შემდეგ ანგარიშები ვიპოვნე 44 მანეთისა, რომელიც უნდა გამოვიკლოთ გარდასახდელ თანხიდგანო. თვისი სიტყვის დასამტკიცებლად კრების თავმჯდომარეს წარუდგინა მოტანილი საქონლის „ანგარიში", მაგრამ კრებაში ისიც გამოირკვა, რომ ბ-ნ წილოსანს სკოლაშიაც მოუტანია სამოსწავლო ნივთები და თავის შეგირდებში გაუყიდია. ხსენებული „სჩოტიც" კერძო აღმოჩნდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონია სამკითხველოს წიგნის მაღაზიასთან *) და კრებამაც უარი უთხრა ბ-ნ კირ. წილოსანს მოთხოვნილ 44 მან. გამოკლებაზედ, რადგან წარმოდგენილი „სჩოტი" ყალბი გამოდგა. კრების თხოვნით თავმჯდომარე შეეკითხა ბ-ნ კირ. წილოსანს: ჰკისრულობს, თუ არა იმ 350 მანეთს, რომლის გარდახდა 21 ივლისის კრებამ დაავალა მას? ბ-ნმა კირ. წილოსანმა უარი განაცხადა. ამ უარის თქმის შემდეგ კრებამ დაადგინა: „მიეცეს კირ. წილოსანს კიდევ ერთი კვირის ვადა, რომ ნება-ყოფლობით შემოიტანოს 21 ივლისის კრების მიერ დადგენილი 350 მ. და უკეთუ ნებაყოფლობით არ გადაიხდის ამას, იმ შემთხვევაში აღიძრას ბ-ნ კირ. წილოსანის წინააღმდეგ საჩივარი სასამართლოში და გარდახდეს დადგენილ 350 მანეთთან ერთად ის 90 მანეთიც, რომელიც ბ-ნ კირ. წილოსანს ეპატივა, ესე იგი სულ 440 მან."

ი. გოგიჩაიშვილი.

ცხინვალი. დაზარალებულთა უნუგეშო მდგომარეობის აღწერას აღარ გამოვეკიდებით. მხოლოდ საყურადღებოა ითქვას, თუ რა დიდი განსხვავებაა დაზარალებულ ურიებსა და ქართველებს შორის: რამდენჯერმე დავესწარით, როდესაც ურიგებდნენ გამომცხვარს პურს და ერთიც ვერა ვნახეთ ქართველი, და ურიები-კი ისეთებიც იშვერდნენ ხელს სამოწყალოდ უსირცხვილოდ, რომელთაც ათასობით დარჩათ შეძლება. ვიცით ნამდვილად, რომ ყველა დაზარალებული ქართველი დაუზარალებლადაც სამოწყალო იყო, არა გააჩნდა-რა და, რაც-კი რამ ებადა, ისიც ულმობელმა ცეცხლის უძიერმა სტიქიონმა გამოაცალა ხელიდამ, მაგრამ მაინც სამოწყალოდ ხელი არ გაუშვერია და თავის დაღოცვილს მარჯვენაზეა დამყარებული!..

დღემდის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოსულა სულ 1103 მან. და 73 კაპ., თვით ცხინვალში მოიკრიბა 414 მან. 65 კაპ. ზოგიერთა გარეშე პირებისა და თ. მაჩაბლიანთაგან 70 მ., გორიდამ და სურამიდამ 619 მან. 8 კაპ. მეტის მეტად დაზარალებულთა რიცხვი არის 555. დღევანდლამდე მომეტებული ნაწილი შემოწირულობა დაზარალებულთა სახით არის სომხებისაგან და, მიუხედავად ამისა, ებრაელნი მაინც გაიძახიან: „წაიღონ თავიანთი შემოწირულობა, მაგათი არც მოტანილი გვინდა და არც დახმარებაო!"

დაზარალებულმა ებრაელებმა დაასახელეს ის თავიანთი მოძმენი, რომელთაც ისარგებლეს შემთხვევით და იქურდეს. ადგილობრივი პოლიცია „სტრაჟნიკებით" მოვიდა საქმის გასარჩევად, სხვათა შორის, ერთს სულ-მდაბალს ებრაელს ეზიდნა სხვა-და-სხვა საქონელი და ელაგებინა ორმოში. ეს ვაჟბატონი გათოკეს კიდეც, მაგრამ ურიები მოგახსენებენ, ჩვენ მივაბარეთ შესანახადო.

გადავიდეთ ახლა ჩვენს იმ დაუკვირვებელ კორესპონდენტებზე, რომელთაც საქმის ვითარება რიგიანად არ იცოდნენ, აჰყვნენ ზოგიერთების თქმას და, რაც გაიგონეს, ის მისწერეს პრესას. მკითხველი, რასაკვირველია, იმათის წერილებიდან იმ დასკვნას გამოიტანდა, რომ თითო-ოროლას გარდა, დანარჩენს ხალხს დაეღოთ პირი და შესცქეროდნენ სეირს. გამოთქმულია აგრეთვე სამდურავი შესახებ ექიმისა, ფერშლებისა და ბოქაულისა. გვაკვირვებს საშინლად, რამ აიძულა ზოგიერთი კორესპონდენტები, რომ ასეთი სიცრუე მოჩმახეს. ჩვენის თვალით ვნახეთ, რომ არც ერთს თავისი ძალ-ღონე და მეცადინეობა არ დაუკლია. თავადი, გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი თუ ადგილობრივი მოხელენი, ვისაც-კი მოძრაობა შეეძლო, ყველა შველოდა, ეხმარებოდა, ზოგი რჩევით და ზოგიც საქმით. საერთო ხალხის დახმარებამ, თავ-განწირულმა ცდამ და უფრო ქარის შეწყვეტამ გადაარჩინა მთელი ცხინვალი, თორემ დღეს ნატამალიც აღარ იქნებოდა წყალ-გამოღმა დღვრისამდე.

დაზარალებულთა სასარგებლოდ აქ გაიმართა წარმოდგენა, რომლის გამოც „ივერიის" 161 № საკმაოდ მოზრდილი წერილი უკვე დაიბეჭდა. დამწერს არ ვეთანხმებით, როდესაც ამბობს, აქტიორებმა როლები კარგად იცოდნენო. არც ერთმა, ჩვენ და სამწუხაროდ, როლი არ იცოდა და სუსტად გამოდიოდნენ ადგილ-ადგილ სცენები. თქმა არ უნდა, სცენის მოყვარე უმაწვილებისაგან ესეც მეტია და დიდი მადლობის ღირსნი არიან.

რაე და ფარი.

ბათომი: ქალაქის ახალი საავადმყოფო იხსნება პირველს სექტემბერს. უფროს ექიმად პეტერბურგიდგან მოწვეულია ქირურგი ბ. ფრინკენშტეინი.

ძველს საავადმყოფოში უფროს ექიმად ბ. ტრიანტაფილიდესი იყო, რომელიც დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ ახალშიაც უფროსად დარჩებოდა, რისთვისაც თხოვნა ჰქონდა შეტანილი ქალაქის გამგეობაში.

ბ-ნ ტრიანტაფილიდეს თხოვნა ქალაქის გამგეობისაგან შეუწყნარებელი დარჩა სხვა-და-სხვა საპატიო მიზეზების გამო. ქალაქს რომ ბ-ნ ტრიანტაფილიდესისათვის უფროსი ექიმობა მიეცა, მისთვის ჯამაგირად 2500 მან. უნდა დაენიშნა. საავადმყოფოსათვის ქირურგიც საჭირო იყო, ეს უკანასკნელი-კი 2500 მან. ნაკლებ არ თანხმდებოდა; ამგვარად ქალაქს უფროსი ექიმი და ქირურგი 5000 მან. უჯდებოდა წელიწადში. ქალაქის გამგეობამ, ხარჯის შესამცირებლად, უფრო ხელსაყრელად დაინახა გამოეწერა ქირურგი და უფროს ექიმის თანამდებობაც მისთვის მიეცა და ამნაირად

ფელეტონი

შინაურთა შორის.

ყადაღა განათლებაზედაც.—რაშია ძალა სოფლის მასწავლებლისა.—ყვირილის თეატრი და ოზურგეთის უთაოსნობა.—რას იტყვიან ბაყბაყ დევნი?

აქამდე თუ ყველას შეეძლო თამამად ეძახნა, ჩვენს სოფლებს განათლებამ ვერ გაუარაო, დღეის იქით ათჯერ უნდა დააცქმინოს, ვიდრე ამისთანა რამეს წარმოსთქვამდეს; ხოლო თუ გაბედა და წარმოსთქვა, მსმენელნი თავშიაც ჩაუფაჩუნებენ და უმალ გააჩუმებენ. საბუთიცა აქვთ გამაჩუმებელი. ეხლა ბევრი სოფელი ქალაქს აღარც-კი ჩამოუვარდება. ქალაქებში ხომ გინახავთ მოედნები, სადაც ბუკინისტებს (ნახმარ წიგნების გამყიდველებს) გამოუწყვიათ პატარ-პატარა სტოლები და ჰყიდიან წიგნებს. ქალაქები იქამდე განათლდნენ, რომ საქვეყნოდ გაიძახიან—აღარ გვინდა მაგდენი ცოდნაო, და სწავლას ყადაღა დაადევს: ვინც გაჰბედავს და საქალაქო მოედანზედ გამოსდგამს სტოლს წიგნების გასაყიდად, იმან დაჭერილ ადგილის მიხედვით უნდა ხარჯი გადაიხადოსო. გამბედავები გამოჩნდნენ, რასაკვირველია, რადგან ძველი წიგნები ბევრი ჰქონდათ, და კიდეც იხდიან ჯარიმას.

ვინ მოიფიქრებდა, რომ ჩვენი სოფელიც სე წინ წავიდოდა ქალაქივით & იმასაც-კი მოსჰარბდებოდა განათლება. მაგრამ სინამდვილეს სად გაექცევით. აგერ გაზეთებმა შეატყობინეს ქვეყანას, რომ აქა-იქ სოფლებში განაჩენები შეუდგენიათ და ქალაქურად დაუწესებიათ: ვინც ბაზრობას ან დღეობას წიგნების გაყიდვა მოინდომოს, უნდა სოფლის გამგეთაგან აიღოს ნება-რთვა და გარდაიხადოს ბაჟი, თითომ ორი მანეთიო.

ჩვენი წერა-კითხვის საზოგადოება-კი ღონდებოდა და ძმარდებოდა—რა ღონე ვიღონო, რომ სოფლად გავრცელდეს ქართული მწიგნობრობაო. ზოგნი აპირობდნენ—ვუშოვნოთ ჩვენს აგენტებს ცხენებიო, ავკიდოთ წიგნებით გატენილი ხურჯინები და ვატაროთ სოფელ-სოფელ, რომ ეგების ამნაირად მაინც გავუკვეროთ გზა ქართულ წიგნებს საქართველოს უმთავრეს წარმომადგენლისკენ, სოფლის ხალხისკენო. ცხენები რომ ეძვირათ, ვირებზედ გადავიდნენ და აპირებდნენ დაბარებას ქიზიყიდამ. მაგრამ რაც უნდა იყოს, ვირსაც შეძენა უნდა. ხოლო, როგორც მოგეხსენებათ ჩვენის განთქმულის გულუხვობისაგან „საზოგადოებას" იმდენიც-კი ვერ მივაწოდეთ, რომ ვირები მაინც შეეძინათ განათლების საზიდათ, და ეს ჩინებული აზრი დარჩა შეუსრულებელი. თურმე ნუ იტყვით, არც ვირები ყოფილა საჭირო და აღარც ცხენები. განათლებას თითონ თავისთავად გაუკვლევია ბილიკი და ისე დაჰრევია ჩვენს სოფლებს, რომ მათი მართველნი სულ „აღარ მინდა"-ს გაიძახიან. მართალია, ეს ახალმოდის განათლება უწიგნოდ დამყარებულა, მაგრამ წიგნი რას მიქვიან, თუ-კი უიმისოდაც განათლებული ვარ. ცარიელი გოგრაა, მაგას რაღა განათლება უნდაო, ყველა ამას იტყვის ამისთანა განათლებულზედ, და აბა ეხლაც მიბრძანდით თქვენის წიგნებით ქართულ სოფელში. იქ დარბაისელი გზირები ჯერ ორ მანეთს დაგათვლევინებენ, გინდ ორ მანეთად სულ არ გიღირდეს წიგნები, და მერე ივაჭრე, სანამ მოგწყინდებოდეს. აბა ამაზე ითქმის:

რა საამური დრო არის,
რა საამური წამია!..

⁂

ხუმრობა გაშვებით-კი და, მართლა საამური წამები გამოვცადე, როდესაც ტფილისის ქუჩებზედ თვალი მოვკარ ერთს დიდს გუნდს სოფლის მასწავლებლებისას, რომელნიც ამ სიცხე პაპანაქებაში ჩამოსულიყვნენ იმერეთიდამ ღირსაცნობ ადგილების დასათვალიერებლად. ან-კი სხვა დროს სადა სცალიანთ ამ საქმისათვის, თუ არ ზაფხულში, როცა სკოლები დაკეტილია.

მერე საამური რა ჰნახე მაგ მასწავლებლებშიო, გაიკვირვებს ზოგიერთი მკითხველი. ტფილისში რომ ჩამოსულიყო იმერეთის თავად-აზნაურობა, მეტადრე მამულების დაგირავების შემდეგ, მართლა რომ სასიამოვნოდ უნდა დაგრჩომოდათ ტფილისელებსაო: ჩამოხტებოდნენ საუკეთესო სასტუმროებში, გაჰმართავდნენ წვეულებას, მოგიპატიჟებდნენ, იმღერიდნენ, გამღერებდნენ, დაჰლევდნენ-დაგალევინებდნენ, შეგაქცევდნენ და ვიდრე უკანასკნელ გზის ხარჯამდე მანდ არ გააქრობდნენ ჩამოტანილ ფულებს, მანამდე ერთ ღრუბელს არ გაიკარებდნენ შუბლზედ, რომ თქვენთვისაც სადარდებელი რამ არ გაეხსენებინათ, გასახელებდნენ და თვითონაც ისახელებდნენ თავს დედა-ქალაქშიო. თორემ რა არის ან ვინ არის სოფლის მასწავლებელი, რომ საამური წამები უგრძნობინებია შენთვისაო...

უკაცრაოდ, დამავიწყდა, რომ ჩვენში ადამიანის ღირსების დასაფასებლად ჯერ კიდევ ძველებურს არშინსა ვხმარობთ. ან დიდის გვარიშვილისა უნდა იყო, რომ დაიმსახურო საზოგადოების ყურადღება, ან კიდევ შენი შეძლება უნდა წარმოადგენდეს ზღვას, რომელიც ღელვის დროს აქეთ-იქით ისვრის ნამცეც წინწკლებს და ამ ნამცეცებით სულს იბრუნებს დამშეული მეზობელი. თუ არც ერთსა და არც მეორეს არ წარმოადგენს კაცი, ვის რაში ებიტნავება მისი მოგზაურობა & მისი სტუმრობა. ასეთი მასშტაბი რომ დაიჭიროთ ხელში, რა თქმა უნდა, სოფლის მასწავლებელს არავინ მიაქცევს ყურადღებას. აბა რა არის სოფლის მასწავლებელი? იგი არის ერთგვარი სულიერი, რომლის ჯამაგირი უმეტეს ნაწილად არ აღემატება თვეში 17 მანეთს, მხოლოდ თითო-ოროლას თუ შეჰხვდებით მათში ბედნიერს, რომელსაც ეძლევა ორ-სამ თუმნამდე. აბა რითი უნდა მოგვეწონებინოს თავი ამისთანა სულიერმა! უპირველეს სასტუმროს-კი არა, სამკითხველოსაც ვერ მიეკარება იგი ახლოს. სამადლოდ თუ მისცემს ვინმე ბინას, თორემ ფულით ვის ეჩვენება იგი.

ეს არის ჩვენი სოფლის მასწავლებელი, მშიერი, მწყურვალი, ტანთ-ჩაუცმელი, მაგრამ... ოხ! ხან-და-ხან რა კარგია ეს ყველასაგან მოძულებული „მაგრამ"... აბა შეჰხედეთ მის თვალების ელვარებას, მისის მხნე სახის გამომეტყველებას. აბა ყური ათხვეთ მის მსჯელობას, ჩაიხედეთ მის გულში, რამოდენა სიმდიდრეა იქ დამარხული და რა განძს ატარებს ამ გულით! ეს განძი გახლავთ დაუშრეტელი სიყვარული სამშობლოსი, რომელიც დღეს მხოლოდ პირზედ აკერია ჩვენს უმრავლესობას. ამ უმაღლეს გრძნობას შეუპყრია სოფლის მასწავლებლის არსება, იგი აძლებინებს მას, იგი უდგამს სულს, იგი აზიდვინებს მძიმე ტვირთს ქვეყნის სამსახურისას. ამ სიყვარულს გამოუტაცნია იგი გასაცნობად იმ სატრფოსი, რომელსაც საქართველო ჰქვიან.

მოგროვდნენ ყოველის მხრიდან
ვაჟები ლომის ფერანი,

რომელთაც იციან, რომ სოფლის მასწავლებელმა და არა პრინცებმა და მილიონერებმა, შეჰქმნა დიდება ეხლანდელის მძლავრის გერმანიისა...

იმერეთმა კაი მაგალითი მისცა იმერეთს,

---

*) სამკითხველოს აქვს თავისი საკუთარი წიგნების სავაჭრო მაღაზია.

ხარჯი 2500 მან. შეემცირებინა. ბ. ტრიანტაფილიდეს უფროს ექიმის თანაშემწედ განაწესეს და დაუნიშნეს ჯამაგირად 1800 მან., ე. ი. უწინდელს ჯამაგირზე სამჯერ მეტი. ტრიანფილიდესმა თავის თხოვნის შეუწყნარებლობა უსამართლოდ სცნო და კატეგორიული უარი განაცხადა. გამგეობა მოიქცა ისე, როგორც უმჯობესი იყო და როგორც ქალაქის ინტერესები მოითხოვდა. ამ გადაწყვეტილებას უმეტესობა სიხარულით მიეგება. მხოლოდ არ იამა „Черноморскій Вѣстникъ-ს“, ამ კომიკების სათარეშო გაზეთს, და ერთი აურ-ზაური ასტეხა; ვინ მოსთვლის, რა უსაბუთო არგუმენტებით არ შეამკო ქალაქის თავი და მისი მოადგილე, ბ. ვოლსკი. ვითომ ამათ დიდი ხნის განზრახული ჰქონდათ ბ. ტრიანტაფილიდესის განდევნა საავადმყოფოდგან და სხვა. ჩვენ არ შევუდგებით აქ ამ ახირებულ გაზეთის მსჯელობის გარჩევას ამ საქმის შესახებ. მას შემდეგ, რაც ქალაქის საბჭომ ღირსეულად დააფასა და ჯეროვანი მიუზღო ბ. ჰალმს, მას აქეთ იგი დიდათ გაბრაზებულია და საკმაოა მისთვის სულ უბრალო რამ, რომ ბუკი და ნაღარა დაჰკრას, რწყილი აქლემად აქციოს. გარნა მადლობა ღმერთს, თანამგრძნობნი მცირე ჰყავს...

ჯერ კრილოვმა სთქვა: Бѣда, коль пироги начнетъ печи сапожникъ, а сапоги тачать пирожникъ“-ო. ბ-ნს ჰალმს უწინდელი ჩვეულება სძლევს და როცა კალამს ხელში იღებს, საოპერეტო სცენის სამასხარო როლში ჰგონია თავი და სწერს უსაბუთო ანეკდოტებს ბათომის mesdames-ების გასატინებლად და თავ შესაქცევად. უმჯობესი იქმნებოდა, ბ. ჰ. ჩვეულებრივი ხელობა განეგრძო, ისევ საოპერეტო სცენა მოენახა და რედაქტორობასა და ხმოსნობაზე ხელი აეღო...

ტრიანტაფილიდესის მაგივრად ექ. მხეიძე დანიშნეს. უმცროს ორდინატორებად ექიმი ქალი კოგანი და ექ. შატილოვი. სასანიტარო ექიმად ბ. ბეთანოვი.

ზედამხედველობა საავადმყოფოში ჩააბარეს ჰალმისაგან ათვალწუნებულს კარ. ჩხეიძეს.

ბიქიკო—წ.

უცხოეთი

ინგლისი. სიდნეიდგან იუწყებიან, ახალ სამხრეთ ვალლისის ორმავე პალატამ დაადგინა, ქალებსაც მიენიჭოს საარჩევნო უფლებანიო.

— ფრანგული გაზეთები საყურადღებო ცნობებს იუწყება ახალ-ზელანდიის მინისტრ-პრემიერ სედდონის შესახებ. როდესაც დასრულდა კვირგვინის კურთხევის დღესასწაულები და ახალშენთა პრემიერების კონფერენცია, ინგლისის მთავრობამ ახალშენთა ზოგიერთ მინისტრებს ბარონეტის ღირსება უბოძა, მაგრამ სედდონს უარ-უყვია ეს წყალობა: მე დემოკრატი ვარ და ჩემთვის სრულიად მეტია ბარონეტის ღირსებაო.

საფრანგეთი. მარსელიდგან იუწყებიან, რომ რიონის დეპარტამენტის მთავარ საბჭოს არა-ჩვეულებრივს სესსიას სამს აგვისტოს შემდეგი „სურვილი“ გამოუთქვამს:

1) გაუქმდეს ვატიკანთან არსებული საელჩო, სარწმუნოებათა ბიუჯეტი და სასულიერო კონგრეგაციები; 2) განკერძოვდეს ეკლესია სახელმწიფოსაგან და სახელმწიფო ჩაირიცხოს „შავის ხელის“ ქონება. საბჭოდ გულითადად ულოცავს სარესპუბლიკო პოლიტიკის მომქმედ სამინისტროს, რომ იგი ასე ბეჯითად ადგია თავის გზას, და სთხოვს მთავრობას, მიუხედავად ყოველ გვარ წინააღმდეგობისა, ყველა დეპარტამენტში უნდა განახორციელოს ასოციაციათა კანონი.

— „Indre-et-boire“ დეპარტამენტში გასულს კვირას დამატებითი არჩევნები მოხდა, რადგან გარდაცვალებულის რადიკალ სენატორის ნიოშის მაგიერი უნდა აერჩიათ. არჩეულ იქმნა დიდის უმეტესობით ქ. ტურის მერი რადიკალ-სოციალისტი პიკ-პარი, წინააღმდეგ პროგრესისტ ლემელისა.

თავის პროგრამაში პიკ-პარი თხოულობდა ასოციათა კანონის სისრულეში მოყვანას, ფალუს კანონის გაუქმებას, სამხედრო ბეგრის ვადის ორ წლამდე შემცირებას, საფინანსო კანონდებათა რეფორმას და მოხუცთა და უძლურთა პატრონობის გაფართოებას.

სხვა-და-სხვა წერილები

ბ-ნ მ. ჯ—ის თხოვნის პასუხად.

„ივერიის“ № 158-ში (ივლისის 27, 1902 წ.) პატივცემულმა მ. ჯ—მა თავის წერილში „ზოგი რამ ვანის ლურსმულ წარწერათა შესახებ“ მთხოვა მივაწოდო მეგრულ „ზოდუას“ ნაირ-ნაირი მიმოხვრა.

ვასრულებ ამ თხოვნას: ზოდუა—მზადება, ბზად-ნქ—ვამზადებ, ბზად-ნდი—ვამზადებდი, ბზადი—ვამზადე, მიზად—მიმზადებია, ბზადინდე—ვამზადებდე, მიზადიდოს—მემზადებიოს და სხვა. ზადუნი, უფრო დოზოდუნი მართლა ნიშნავს, „რომ მოამზადა“, „რომ დაამზადა“-ს.

აქვე შევნიშნავ, რომ ქუთუუბი, ქ-თუუბი (პირველ „უ“-ს ნაცვლად „ა“-კი არ ისმის მეგრულში, არამედ განსაკუთრებული, ერთობ მოკლე ხმოვანი ბგერა, რომელსაც ჩვენ, როგორც აქ, ისე ზევით, ზოდუას ბრუნვის დროს უბრალო ხაზით აღვნიშნავთ, მეგრულად „შეუყენე“-ს-კი არ ნიშნავს მხოლოდ, არამედ „წყალი შევუყენე“, „შევუსხი“, რადგან ქ-თობმა რომლისამე სითხის ქვეშ შესხმას ნიშნავს.

დანარჩენ მოხსენებულ სიტყვებიდგან ულუ მეგრულად ნიშნავს „წასულია“. შეიძლება, სხვა სიტყვებიც, რომელთა მნიშვნელობაც ეინტერესება ბ-ნ მ. ჯ—ს ნიშნავდნენ რასმე მეგრულად, მაგრამ მე, სამწუხაროდ, დიდი ხანია მოშორებული ვარ სამშობლო მხარეს და ბევრი მეგრული სიტყვა, ალბად, აღარცკი მახსოვს.

კარგი იქნებოდა, სრულიად გადმოწერილიყო ვანის ლურსმული წარწები და ჩავარდნოდა ხელში ვისმე მეგრულის კარგ მცოდნე ლინგვისტს, როგორც, მაგალითად, პატივცემული პ. ჭარაიაა, რომ ერთხელ და სამუდამოდ გამორკვეულიყო, მართლა მეგრული სიტყვებია ამ წარწერებში, თუ მარტო შემთხვევითი მზგავსებაა მათ შორის?

დ. ხ.

ყივანა-ხველის ბაცილა და მისი აცრა

(ახალი გამოკვლევა)*)

ყივანა-ხველა (დიდი-ხველა) განსაკუთრებით საყმაწვილო ავად-მყოფობაა. ყველას გაეგონება, რომ ყივანა-ხველა გადამდები სენია და რაც უფრო ნორჩია ბავშვი, მით უფრო საშიშია ეს სენი: ძუძუ მწოვარა უფრო ძნელად აიტანს ყივანა-ხველას, ვიდრე ხუთი—ექვსი წლის ბავშვი. პროფესორ ფილატოვის თხზულებიდგან სჩანს, რომ პირველის წლის შესრულებამდე ბავშვთა შორის ყივანა-ხველით სიკვდილი $25^{0}/_{0}$ უდრის 1—5 წლამდე $4,8^{0}/_{0}$-ს, ხოლო 6—18 წლამდე-კი $1,1^{0}/_{0}$-ს. ვაჟ-კაცის ყივან-ხველით ავად-გახდომა იშვიათი მოვლენაა. „Trousseau“-ს თხზულებიდგან სჩანს, რომ, თუ ყივანა-ხველიან ბავშვს დღეში სამოცჯერ მოუარა ხველამ, სჩანს, მოსარჩენი პირი არ აქვს.

ამ გადამდების სენით იწამლება სასუნთქი ორგანოების ზემო ნაწილები და ის ნაწილი თავის ტვინისა, რომელსაც ანატომიაში „მოგრძო ტვინს“ ეძახიან. ამ სენით შეპყრობილ ბავშვს დღეში რამდენჯერმე მოუკლის ხველება: უცბად დააწყებინებს ხველებას, ახველებს რამდენისამე წამის განმავლობაში სულის მოუთქმელლივ, სანამ ფილტვები ჰაერისაგან არ დაიცლება; შემდეგ ავადმყოფი ღრმად ისუნთქავს ჰაერს, მაგრამ სწორედ ამ დროს ბავშვს ეხუთება სასულე, ამის გამო ჰაერი ძლივ-ძლივობით ჩადის ძლიერ დავიწროებულს ხასულეში ხმაურობით, რომელიც ყვილსა ჰგავს,—და აი აქედგან წარმოსდგა სენის სახელიც—ყივანა-ხველა.

ყივანა-ხველა რომ გადამდები სენია, ეს დიდი ხანია ვიცით, ხოლო აქამდის არ იყო აღმოჩენილი მისი ბაცილა, რომლის საწამლავით ავად ხდება ბავშვი. ამ დღეებში „D'qeuriaux“-მ გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა, დაწვრილებით აგვიწერს ამ ახლად აღმოჩენილ ბაცილის მოყვანილობას, თვისებას და ბოლოს ყივანა-ხველიან ავადმყოფის აცრასაც.

ახლად აღმოჩენილი ბაცილა პაწაწინა, ძლიერ მომსხო, მომრგვალო, თავებიან ჩხირსა ჰგავს. მიკროსკოპშივე სჩანს მისი მოძრაობა. ეს ბაცილა ადვილად და კარგა იღებება ფუქსინით**), რაც, რასაკვირველია, ძლიერ აადვილებს მის აღმოჩენას ყივანა-ხველიან ავადმყოფის ნახველში და ცხვირიდგან გამონადენ სითხეში.

ამ ბაცილის ხელოვნურად მოშენებაც სხვა-და-სხვა მასაზრდოვებელ ნიადაგზედ ძლიერ ადვილია: ორმოც და რვა საათის შემდეგ ბულიონის ზედა-პირს ლეჩაქივით თეთრ-ყვითლად მოედება ყივანა-ხველის დათესილი ბაცილა; კარტოფილზედ რომ მოაშენოთ, ბაცილების კოლონია ოქროს ფერს მიიღებს. შეიძლება რომელისამე ცხოველის შრატზედ მოაშენოთ ეს ბაცილა. სხვა-და-სხვა მასაზრდოებელ ნიადაგზედ მოშენებულ ბაცილების კოლონიას, როგორც სხვა-და-სხვა ფერი ეძლევა, ისე მოყვანილობაც ეცვლება, რაიცა მხოლოდ მიკროსკოპის საშუალებით შეიძლება გაირჩიოს; კარტოფილზედ გამრავლებული ბაცილები უფრო მსხვილნი არიან; შრატზედ-კი უფრო გრძელი და წვრილი.

გამოიკვლია-რა D-r Leuriaux-მ ყივანა-ხველის გამომწვეველი ბაცილა, შეუდგა მის მომწამლავ თვისების შესწავლას. რომ დარწმუნებულიყო ახლად აღმოჩენილ ბაცილის მომწამლავ თვისებაში, Dr. Leuriaux-მ დაუწყო ამ ბაცილების შეშხაპუნება კან ქვეშ ძაღლს, მტრედს და ზღვის ღორს. როდესაც ეს ბაცილები ძაღლს ყურის კან ქვეშ შეუშხაპუნა, რადენისამე საათის შემდეგ იმ ალაგს ანთების ნიშნები დაეტყო და ორმოცდა რვა საათის შემდეგ დამუწუკდა და დაჩირქდა. იმ ძაღლს-კი, რომელსაც ყივანა-ხველის ბაცილები პირ-და-პირ ვენაში შეუშხაპუნეს, რამდენიმე საათის შემდეგ აუვარდა ქლოშინი, უკანა ფეხები წაერთვა, მთელმა ტანმა დაუწყო კლაკვნა; რაც მეტი დრო გადიოდა, იმდენად უფრო უძნელდებოდა სუნთქვა და ბოლოს სრულებით გათავდა.

ამ გვარივე ცდა მოახდინა Leuriaux-მ მტრედსა და ზღვის ღორზედ, ამათზედაც ისევე იმოქმედა, როგორც ძაღლზედ. ასევე იმოქმედა პირუტყვებზედ ყივანა-ხველის ბაცილების გამონაღებმა შხამმა ტოქსინმა. როდესაც რომელისამე ბაცილის გამოცდა უნდათ, ასე იქცევიან: ბაცილების კულტურას სწურავენ ფაიფურში, განაწურში მხოლოდ ამ ბაცილების შხამი—ტოქსინი იქნება, თვით ბაცილები-კი ვერ გაატანენ ფაიფურს.—შეშხაპუნებულმა ტოქსინმა უფრო მალე მოსწამლა პირუტყვნი, ვიდრე თვით ბაცილებმა.

შეისწავლა რა მეცნიერმა ყოველ მხრივ ყივანა-ხველის ბაცილები, დაიწყო ამ სენის აცრის გამოკვლევა.

ასაცრელი შრატი მოამზადა ამ გვარად: ცხენს დაუწყო კან ქვეშ შეშხაპუნება ყივანა—ხველის ბაცილების შხამ—ტოქსინისა, პირველად რასაკვირველია, ძლიერ ცოტა: შემდეგ-კი თან და თან უმატა, რომ ცხენის სხეული შეჩვეოდა საწამლავს. პირველად ცხენს ყოველ შეშხაპუნების შემდეგ შესამჩნევი ცვლილება ეტყობოდა: სიცხეს აძლევდა, მადა ეკარგებოდა და ერთობ სისუსტე ეტყობოდა. სამი-ოთხი თვის შემდეგ ცხენის სხეული ისე შეეჩვია შხამ-ტოქსინს, რომ უვნებლად იტანდა ერთ გირვანქაზედ მეტს შხამ-ტოქსინსა. ამას იქით ცხენის შრატმა მოიპოვა სამკურნალო თვისება.

ამ გვარად აცრილი ცხენის შრატი Leuriaux-მ სცადა ყივანა-ხველით ავადმყოფ ბავშვებზედ, და როგორც იმის თხზულებიდგან სჩანს, ყველა ავადმყოფნი განუკურნავს ამ აცრას. ის ავადმყოფნი, რომელნიც ავადმყოფობის პირველ დღეებშივე აუცრია, ორ-სამ დღეში სრულებით მორჩენილან; ხოლო ისინი-კი, რომელთაც მეათე დღეს აუცრა, მეხუთე დღეზედ მორჩნენ.

ამ მეცნიერის სიტყვით, რაც უნდა მძიმედ იყოს ბავშვი ყივანახველით ავად, თუ აცრამ დროზე მიუსწრო, უსათუოდ მორჩებაო.

ექიმი ბადრაძე.

თეატრი და ხელოვნება

ქართული წარმოდგენა ქიათურაში.

„მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო“.

6 აგვისტოს ჩვენის საყვარელის და ნიჭიერის მსახიობის ბ-ნ მესხიშვილის გამგეობით და მონაწილეობით ქიათურის თეატრის დარბაზში წარმოადგინეს ხუთ-მოქმედებიანი დრამა ვალ. გუნიასი „და-ძმა“, რომელშიაც თვით ბ-ნმა მესხიშვილმა აასრულა გაიოზ ფალავას როლი, დადიანმა (ქუჯიმ) ოტია ჯოლიას როლი, ბ-ნმა მირიანაშვილმა ფაშა-ეფენდისა, ბ-ნმა ჰანიშვილმა ადამიასი, ქ-ნმა ივანიძემ გადიას როლი, ქ-ნმა მდივანმა მარინეს როლი, ბ-ნმა კობაიძემ ჯან-ვერდის როლი, და სხვა.

სწორედ შესანიშნავად და ხელოვნურად დაასურათეს თავის როლები ბ-ნმა მესხიშვილმა და დადიანმა, რომელნიც დამსწრე საზოგადოებამ რამდენჯერმე გამოიწვია სცენაზე ტაშის კვრით და ვაშა-ვაშას ძახილით. ამათ გარდა გვარიანად ჩაატარეს თავის როლები ბ.ბ. მირიანაშვილმა, ქ-ნმა ივანიძემ და მდივანმა; რაც შეეხება ბ-ნს ჰ—ლს, ა. კ—ძეს, პ. გ—ძეს და ა—ძეს, ამათ სრულიადაც რომ არ ენებებიათ სცენაზედ გამოსვლა, ბევრად უმჯობესი იქნებოდა, რადგანაც მათ სრულიად არ ეტყობოდათ ძომზადება: ლაპარაკი, სახის გამომეტყველება და მიხვრა-მოხვრა არ შეეფერებოდა მათს როლებს.

ბ. ბ. ჰ—ლი და კ—ძე, შეიძლება, ყოველისფერში ნიჭიერნი იყვნენ, მაგრამ სცენაზე სათამაშო ნიჭი სულ სხვა არის. მართალია, ბ-ნი მესხიშვილი და დადიანი სცენას აბრწყინვალებდნენ თავიანთის მშვენიერის თამაშით, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ რამდენათაც ორი-სამი ნიჭიერი მსახიობი დაამშვენებს და წინ წასწევს რომელიმე პიესას, იმაზედ მომეტებულად ორი-სამი ნაძალადევი მსახიობი წარმოდგენას უკან დასწევს, საზოგადოებაზედაც ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს და ხალხსაც თეატრზე გულს აუცრუებს.

რადგანაც ქართველები ბ-ნ მესხიშვილს პატივს ვცემთ, არ გვინდა, რომ მისი გამოჩენილი სახელი, პატივისცემა და სიყვარული ჩვენს საზოგადოების თვალში დამცირდეს, კარგს ინებებს ჩვენი სასიქადულო მსახიობი ბ-ნი მესხიშვილი, რომ, როცა თვითონ მონაწილეობას ღებულობს რომელსამე წარმოდგენაში, სცენაზედ სათამაშოდ გამოიყვანოს ცოტად მაინც გამოცდილი სცენის მოყვარენი. წინააღმდეგ შემთხვევაში საზოგადოება ისეთის თვალით შეხედავს, რომ ვითომც ბ-ნი მესხიშვილი ჭიათურის საზოგადოებას აბუჩად იგდებდეს, რასაც პატივცემულ მსახიობისაგან არ მოველით; ეს კარგად უნდა იცოდნენ იმათაც, რომლებისთვისაც უზენაესს არავითარი სცენიური ნიჭი არ მიუცია, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგიერთი მეტიჩრები ძალათი ეჩხირებიან საქმეში.

საზოგადოება წარმოდგენას ბლომად დაესწრო და შემოსავალიც 150 მან. იყო, მაგრამ, ცოტა არ იყვეს, ზოგიერთნი გულ-ნატკენნი დარჩნენ ასეთი შეუფერებელი მსახიობების წყალობით.

ვიმედოვნებთ, ბ-ნი მესხიშვილი ყურადღებას მიაპყრობს ჩვენს მეგობრულად ნათქვამს.

გ. ნანელი.

გორდი. 6 მარიამობისთვეს ქართულის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილ იქმნა „არც აქეთ, არც იქით“ და „ოთხი იმერელი“. როლები ყველას კარგად შეესწავლა. საუცხოვოდ იყო გამოხატული ბ-ნ ვუკოლე ბერიძისაგან „ზალიკა“ ოთხ „იმერელში“. აგრეთვე კარგად ჩაატარა თავისი როლი ბ-ნ წერეთელმა. დანარჩენებმაც კარგად შეასრულეს თავიანთი როლები. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა. საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა. ყველა დიდს მადლობას უხდიდა გამგეს, რომ მოწყენილი სოფელი გაამხიარულა. არ მოვიდნენ მხოლოდ აქაური ნასწავლები, რომლებიც სიტყვიერად მიპატიჟებულნი ყოფილან და მათ მობრძანებისათვის-კი თურმე წერილობით მოპატიჟება იყო საჭირო ამ განათლებულ პირებმა არც დახმარება აღმოუჩინეს სცენის მოყვარეთ და თვით თეატრში მიმსვლელთაც ეუბნებოდნენ: „თქვენ სახლში წადით, ხონელი სცენის მოყვარეები გორდში ისეთს რას წარმოადგენენ, რომ ისევ ჩვენ, გორდელებს, არ გვენახოსო“... იმედია, ჩვენი ახალგაზდობა ამისთანებს არ მიაქცევს ყურადღებას და ხშირად გამარ-

---

ქვეყნის მოღვაწეთა ჟამითი-ჟამად შეკრება და ერთად მოგზაურობა ჩვენის სამშობლოს მიდამოებში ბევრს საგულისხმიერო სანახავს აჩვენებს მათ და გაუადვილებს საქვეყნო უღლის წევას.

⁂

ერთი ამ საგულისხმიერო სანახავთაგანი უნდა იყოს ყვირილის თეატრი, ანუ თეატრი ყვირილაში. ბედნიერი აზრი მოჰსვლია კნეინა ბარბარე წერეთლისას თეატრის აშენების შესახებ. უნდა-კი მოგახსენოთ, რომ ბედნიერი აზრი მრავალია. ზოგი ისეთის ფანტაზიის პატრონია, რომ საათში ათს ჩინებულს აზრს გამოაცხობს. თქვენ აზრის განხორციელება ბრძანეთ. პატივ-ცემულ კნეინას უფიქრნია და გამოუგონია საშუალება, თუ როგორ შეუძლიანთ ყვირილელებს ააშენონ თავიანთთვის თეატრი. ჩამოვიდეთ ყველა გულშემატკივარნი თითო თუმანს, და თეატრის პატრონი შეიქმნება ყვირილაო. როგორც ჰხედავთ, საშუალებაც ძრიელ ადვილი საპოვნი ყოფილა. მაგრამ ამისთანა საშუალებასაც ტყუპ-ტყუპად მოგახლით პირში არა ერთი და ორი ფანტაზიორი ჩვენში. სასიხარულო ის არის, რომ კნეინა წერეთლისას უპოვნია კიდეც საშუალება და თანაც უკისრნია მის აღსრულებაში მოყვანა. ეტყობა, სცოდნია ფასი ჩვენებურის დაპირებისა. ქართველი კაცი, თუ-კი მარტო დაპირებაზე მიდგა საქმე, უარს არაფერში არ გეტყვის. ჩვენებურს დაპირებაზედ რომ ააშენო საქვეყნო კეთილდღეობა, ყველაფერს შეესწრებით და კეთილდღეობას-კი ვერას დროს. ვინ იცის, ზოგი გამოწკეპილი ვაჟ-კაცი ასთუმნობითა ჰპირდება კნეინას—აბა მაგისთანა საქმეში რავა დაგზარდები სამსახურსაო; მაგრამ კნეინამ თურმე, როგორც გამოცდილმა მანდილოსანმა, დღევანდელი კვერცხი ამჯობინა ხვალინდელ ქათამს და დაპირებულ ასთუმანში იკმარა ხელად გადმოთვლილი თუმანი. ამ სახით შეჰკრიბა იმდენი ფული, რომ ყვირილას აღირსა საკუთარი თეატრი.

აშკარაა, რომ კარგ აზრსა და ადვილს საშუალებას კაი განმახორციელებიცა ნდომებია, თორემ ნუ თუ ყვირილას-კი უნდა ჰქონდეს საკუთარი თეატრი და ქალაქი ოზურგეთი-კი ერთის საღამოსთვისაც ვერა შოულობდეს სახლს, რომ წარმოდგენა გამართოს! ნუთუ შესაძლებელია იფიქროს ვინმემ, რომ მთელს ოზურგეთში არავის მოჰსვლოდეს აზრი თეატრის აშენებისა საზოგადოებრივის დახმარებით? ეს დიდი ჭორი და ცილისწამებაა. უეჭველია, ოზურგეთსაცა ჰყავს განვითარებული კაცები და გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ყვირილას, მაგრამ ეხლანდელ დროში აღარა კმარა, რომ კარგს მთქმელს კარგი გამგონე ჰყვანდეს; ეხლა საჭიროა, რომ მთქმელიცა და გამგონეც საქმიანები იყვნენ. მარტო საქმის სიყვარული თუ გააბედვინებდა კნეინა წერეთლისას, რომ მიჰმართა იტალიელ ხუროთმოძღვარს ბ-ნს ფრანც გვადანინს, რომელმაც მუხლი მოიდრიკა წინაშე ასეთის საქმიანობისა და უსასყიდლოდ შეადგინა გეგმა თეატრის შენობისა; თორემ აბა უცხოელი კაცი რაში აიტკივებდა თავს, როდესაც ჩვენებური სპეციალისტი მუქთად არც-კი დაათვალიერებდა ადგილს, სადაც თქვენ გადასწყვიტეთ, ვთქვათ, თეატრის აშენება. კნეინა ბარბარე წერეთლისთანა მადლიანი მოთავე ჰკლებია საბრალო ოზურგეთსა და აბა რა ღონის ძიებით მოახერხებენ იქაურები თეატრის შეძენას.

ძალმოკლებულ არს მცონარი,
ვითა მდინარი მდორია;
მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორია.

⁂

თუ იმერეთში ბარბარე წერეთლისამ ისახელა თავი, კახეთში კიდე ბაგრატ წერეთელმა აალაპარაკა ქვეყანა. თუ პირველმა გამოიჩინა თაოსნობა საზოგადო საქმეში, მეორემ იგივე ღირსება დაგვინახვა კერძო საქმეში. მაგრამ ეს კერძო საქმე ისეთის თვისებისაა, რომ ადვილად გარდიქმნება საზოგადო და საქვეყნო საქმედ, თუ ჭირვეულმა ბედმა გაუღიმა მის დამწყებს.

გეხსომებათ, რამდენი იმედები აღძრა ჩვენში თავად ანდრონიკაშვილების „არამდარამ“ და რამდენ ბაქოელ მენავთეს გაუმწარა ძილი. ნავთის ნიშნები აშკარა იყო. ფულის პატრონებიც ჩამოვიდნენ სამზღვარგარეთიდამ, მოჰკიდეს კიდეც საქმეს ხელი, მაგრამ მონაწილეთა შეუთანხმებლობამ დააფთხო უცხოელნი, მათ მოჰკრეს ფულის პარკებს მაგრა პირი, და გამართული საქმე უდღეოდ ჩაიფუშა. ნავთის დიდრონ შადრევნებიდან დაგვრჩა მხოლოდ შადრევანი ბაქი-ბუქიაობისა, რომელსაც ჩვენში უთვალავი მიმდევარი ჰყავს.

ასე არ მოიქცა ბ-ნი წერეთელი. მის მიერ დაწყებული საქმე ემცნო ქვეყანას მარტო მაშინ, როდესაც დამალვა არ შეიძლებოდა. ჩვენ სრულებით დავიწყებული გვქონდა „არამდარაცა“ და მთლად „ჩატმაც“. ნავთების იმედი გადავიწყვიტეთ, მანამ მონაწილენი ჰკუაზედ მოვლენ და შეთანხმდებიან, ე. ი. დიდის ხნით გადავდეთ, რადგან ერთსაცა და მეორესაც ჩვენში, მოგეხსენებათ, კარგა ბარაქიანი დრო უნდა. ამ ხნის განმავლობაში ბ-ნი წერეთელი ჩუმის პირით ნელ-ნელა აგვარებდა საქმეს. აქაური მენავთეები ხომ ვერ გამოიმეტებდნენ ფულს ნავთის საძიებლად. იგინი მარტო მაშინ არიან გულადნი, როდესაც მზამზარეული სიმდიდრე უცვივათ პირში. ამიტომ თურმე იმან მიჰმართა პეტერბურგის ფულიან კაცებს, რომელთაც ნახეს ადგილი სოფელ ძეძვებში, მოიწონეს, გამოიღეს თანხა, ააშენეს მუშებისთვის სახლები, დაიჭირეს მცოდნე კაცები, მოზიდეს შესაფერი მაშინები, გაჩარხეს საქმე და შეუდგნენ მიწის თხრას. ეხლა თითქმის ოცდა-ათ საჟენს ჩასცილებიან მიწაში. წარმოიდგინეთ, იქაურობა ელექტრონითაც-კი გაანათეს, და აბა როგორღა შეიძლებოდა დამალვა, მეტადრე როდესაც დაინახეს, რომ მუშაობას თურმე ძრიელ საიმედო პირი უჩანს.

ერთიც ვნახოთ, კახეთში მართლა ამოჰხეთქა ნავთმა. რა შიშის ზარი დაეცემა ხარბ ბაქოს, რომ გროზნის შემდეგ მას მეორე მოქიშპე გამოუჩნდება კავკასიის მიდამოებში. ბევრი ბაყ-ბაყ დევი, რომელმაც აღარ იცის ანგარიში თავის მილიონებისა, ჩამოჰყრის ყურებს და ჩამოაგდებს ლაშს. აბა ერთი მაშინ მოახერხონ გაუყვანლობა რკინის გზისა კახეთისაკენ! მაშინ... მაგრამ შევაკვეციოთ ფრთა ჩვენს ოცნებას. რაიცა შეეხება საზოგადო და საქვეყნო მნიშვნელობას ბ-ნ წერეთლის კერძო თაოსნობისას, ეს ყველასთვის ცხადია. მე მხოლოდ მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩვენებურ რკინის გზების შესახებ და კერძოდ კახეთისაზედაც, მაგრამ ადგილი და სიცხე მიშლის. დარჩეს სხვა დროისთვის. ანკი რა გვეჩქარება, უკან ხომ არავინ მოგვდევს და ჩვენი საკუთარი ბუნება უფრო ღინჯობასა ჰკვრძავს. მეც დინჯად დავსვამ აქ წერტილს, მით უმეტეს რომ თვით პოეტიც გვასწავლის თანდათანობას ამ სიტყვებით:

ზოგი ხო დღეს ვიუბენით,
ზოგიც ვიუბნოთ ხვალაო.

სანო.

---

*) L'agent pathogène de la codueluche et la Sérothérapie de cette affectio D-r Leuriaux (de Bruxelles).

**) Le se colore dans la solution de fuchsine phénique.

თავს წარმოდგენს, რომ დაბეჩავებული ხალხი შეაჩვიოს ამ სასარგებლო გასართობს.

შემოსავალი ექვს მანეთ ნახევარი იყო, გარნა ამას არავინ დაუღონებია, რადგან სცენის მოყვარე ყმაწვილკაცობამ ყველა ჯილდოზე უდიდესი ჯილდო მიიღო—დამსწრე საზოგადობის გულითადი მადლობა.

Victoire.

ნარკვევი

გაზ. „ცნობის ფურცელი“ თავის კვირის ნომერში (№ 1893), დიდად გაწიწმატებული, გვკითხავს: „ბ-ნო „ივერია“, ვინ არის უსუსურნი? ჩვენ ვუპასუხებთ: რასაკვირველია, გაზ. „ცნობის ფურცელი“.

რათა?

ჯერ იმიტომ, რომ „ცნობ. ფურცელმა“ თაროზედ კოვზი იპოვნა, ესე იგი ჩაიხედა ჩვენს მწერლობაში და დაინახა, რომ ქართველთა და სომეხთა შორის უსიამოვნება ამ ოც-და-ხუთის წლის წინადაც ყოფილა და თღევანდლამდე-კი ეს არ იცოდა და ეგონა, ეს უთანხმოება „ივერიის“ მოგონილიაო.

მეორე საბუთი „ცნობ. ფურცლის“ უსუსურობისა ის გახლავთ, რომ დღევანდლამდე არ იცის, სერგეი მესხი ჩვენის დროგამოშვებითის მწერლობის მამა არცა ყოფილა, და არც არავინასთვლის, გარდა უმეცარის „ცნობის ფურცლისა“.

მესამე საბუთი „ცნობის ფურცლის“ უსუსურობისა ის გახლავთ, რომ ჩვენს მწერლობაში სომეხთა და ქართველთა შორის უთანხმოებას, არამც თუ ოც-და-ხუთის წლის წინად, არამედ ორმოც-და-ხუთის წლის წინადაც ჰმოწმობს სხვათა შორის ჩვენის თეატრის მამათ-მთავრის გ. ერისთავის და ზურაბ ანტონოვის დრამატიულნი თხზულებანი. „ცნ. ფურცელს“ დაჰვიწყებია, რომ ქართულ თეატრის დამფუძნებელი გ. ერისთავი ჟურნალ „ცისკრის“ პირველი რედაქტორიც იყო.

რაც შეეხება იმას, პრესსა რასა ჰქვიანო, უნდა ავუხსნათ ჩვენს უმეცარს მოძმეს,—გაზ. „ცნობ. ფურცელს“, რომ **პოლიტიკური ხასიათი** არსებობდა ყოველს მწერლობაში, მანამ დაიბადებოდა ისეთი სამასხარო ფურცლები, როგორიც „ცნობის ფურცელია“. მაშ, ხვალ რომ ჩვენმა გაზეთებმა ღმერთს სული მიაბარონ, ნუ თუ ჩვენს მწერლობას პოლიტიკური ელემენტი დაეკარგება? განა ვოლტერს რომ საკუთარი გაზეთი არა ჰქონდა და არც რედაქტორი იყო, იმის ნაწერები მოკლებულია პოლიტიკურს ელემენტს? ნუ თუ ვოლტერის გავლენა მსოფლიოს პოლიტიკაზედ უფრო ნაკლები იყო, ვიდრე „ცნობის ფურცლისა“!

ბიბლიოგრაფია

Ежемѣсячный метеорологическій бюллетень Тифлисской физической обсерваторіи (№№ 3, 4, 6).

მარტის პირველი ნახევარი წვიმიანი იყო, შემდეგ ხმელი და ნათელი, დარიანი; 28—29-დგან ისევ გაავდარდა. ყინვები იყო 22—23 მარტამდე, სითბო-სიცივის მაჩვენებელი იყო (საშუალო რიცხვით).

სტავროპოლს	1.4
პიატიგორსკს	2.0
კავკავს	2.9
თ.-ხ.-შურას	3.7
სოჭს	8.7
ცხუმს	10.2
ქუთაისს	9.9
გუდაურს	2.5
გორს	5.8
აბასთუმანს	1.5
ტფილისს	6.9
განჯას	6.4
შუშას	2.9
ბაქოს	7.3
გუმბრს	1.4
ერევანს	6.0

აპრილის თვეში:

სტავროპოლს	2.7
პიატიგორსკს	8.3
კავკავს	8.4
თ.-ხ.-შურას	9.8
სოჭს	11.9
ცხუმს	13.4
ქუთაისს	13.1
გუდაურს	2.2
გორს	10.5
აბასთუმანს	6.4
ტფილისს	11.9
განჯას	11.3
შუშას	7.2
ბაქოს	12.0
გუმბრს	7.7
ერევანს	12.4

ივნისში:

სტავროპოლს	19.3
კავკავს	18.8
თ.-ხ.-შურას	23.1
ცხუმს	22.2
ქუთაისს	22.2
გუდაურს	12.5
გორს	20.2
აბასთუმანს	20.2
ტფილისს	22.4
განჯას	22.4
შუშას	18.2
ბაქოს	24.5
გუმბრს	18.1
ერევანს	15.0

გამოცემებს ჩართული აქვს დარის მაჩვენებელი რუკები და, საზოგადოდ, მათში ბევრია სასარგებლო ცნობები მეურნეთათვის.

მ. ჯ.

წერილი
რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ შემდეგი ანგარიში სურამში ჩემს მიერ გამართულ წარმოდგენისა.

შემოსავალი ბილეთებისა, ვახშმის და ბუფეტისა სულ 290 მანეთი 55 კ., ხარჯი ტრუპპას 150 მან., მარკებისა —9 მან. 60 კ., წვრილი ხარჯი მოსამსახურისა, სასტუმროსი, მისვლა-მოსვლისა—23 მ., სულ 182 მ. 60 კ., დარჩა 107 მან. და 95 კ., ამ ფულისა 50 მან გადაეცა გ. ყიფიანს. 57 მ. 95 კ. გ. დ. მიქაბერიძისას ვერის ქალთა სკოლის სასარგებლოდ.

გულითადს მადლობას ვუძღვნი ბ. ვალერიან გუნიას და კნიაჟ. თ. აბაშიძისას, რომელთაც შრომა არ დაიზოგეს ჩემდა დასახმარებლად და იმ პირთ, რომელნიც წარმოდგენას დაესწრნენ განსაკუთრებით მიზნის მიხედვით.

ნ. ყიფიანისა.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

9 აგვისტო

ბუქარესტი. ოდესიდგან გაგზავნილ საქონლისათვის დაწესებულ კარანტინის ნაცვლად შემოიღეს მხოლოდ ექიმების ზედამხედაობა.

ყაზანი. აქ პეტერბურგიდგან მოსულმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოხელემ გრაფმა სიუზორმა გუბერნატორთან ერთად დაათვალიერა ის უბნები, რომელიც ცეცხლმა გადასწვა, აგრეთვე ის უბნებიც, რომელიც ცეცხლის მხრივ საშიშია.

ადესა. საბერძნეთის მეფის-ძის ნიკოლოზის და დიდის მთავრინას ელენე ვლადიმირის ასულის შეუღლების გამო, ბერძენთა საქველმოქმედო საზოგადოებამ დაადგინა, გადაიხადოს ბერძენთა ეკლესიაში სადღესასწაულო პარაკლისი, დააწესოს ბერძენთა როდოკონაკის დედათა სასწავლებელში ორი სტიპენდია უმაღლეს მეუღლეთა სახელობაზე და ბერძენთა მოხუცთა თავშესაფარში ორი საწოლი.

ხარკოვი. პოლიცმეისტერს ბეზსონოვს ებოძა წმ. ვლადიმერის ორდენი მეოთხე ხარისხისა.

რიგა. ცივი ამინდის გამო ბალოსნობის გამოფენა და კრება 1903 წლისათვის გადაიდო.

კავკავი. ბესლანში, მეცადინეობის დროს კანცელარიის ფანჯრიდგან ორის ტყვიით მოკლულ იქმნა ამ ნაწილის ბოქაული ვისოცკი.

პარიჟი, ნანტში, ჯართა მეთერთმეტე კორპუსის უმთავრესის შტაბის მაიორმა დელალორბმა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა იმ მიზეზის გამო, რომ არ მინდა მონაწილეობა მივიღო პოლკოვნიკის სენ-რემის და მაიორ ლერუა-ლადიურის პროცესშიო.

პარიჟი. მომავალ კვირას მოლაპარაკება დაიწყება საფრანგეთისა და სიამს დავის მორიგების თაობაზე. სიამის საელჩო უარჰყოფს იმ ცნობას, ვითომც მეამბოხეთ სიამის მხედრობა დაემარცხებინოს; პირ-იქით წესიერება აღდგენილ იქმნაო.

11 აგვისტო

პეტერბურგი. კამერ-პაჟს სიამელ პრინცს ჩაკრაბონს მისს უდიდებულესობის ჰუსართა პოლკის კორნეტობა ებოძა.

— სამეურნეო საჭიროებათა გამოკვლევისათვის დაარსებული საბჭო ცირკულიარით აცხადებს: გვეკითხებიან—რაზედ უნდა ჰქონდეს სამაზრო კომიტეტებს სჯა, ან რა ფარგალში შესაძლებელია იქ ასეთი სჯაო? საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებს სრული თავისუფლება ეძლევათ სამეურნეო მრეწველობის ეხლანდელს მდგომარეობაზე თავიანთი მსჯელობა წარმოსთქვან და ის საშუალებანიც დაასახელონ, რომელნიც ხელს შეუწყობენ მისს გაუმჯობესებას. ამა თუ იმ ადგილის საჭიროებათა მიხედვით. კომიტეტის მონაწილეთ იმიტომ გამოეცხადება ასეთი ნდობა, რომ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ისინი ღირსეულად და გულ-დამჯდარად მოეკიდებიან მათდამი მინდობილს საგანს და ისეთს არას შეეხებიან, რომელსაც პირდა-პირი დამოკიდებულება არ აქვს სამეურნეო მრეწველობასთან,

12 აგვისტო.

პორტ-არტური. აქ მობრძანდა პრინც კომატცუ. მოსკოვიდან აქამდე გზაში ყოფილა 14 დღეზე კიდევ ნაკლები.

სოხუმი. შავი ზღვის ესკადრა მოვიდა აქ.

ხარბონი. 11 აგვისტოს ხარბონში სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებით ჩამოახრჩეს ოთხი მოთავე იმ ყაჩაღთა ბრბოისა, რომელმაც გაზაფხულზედ მეაფთიაკე მეეროვიჩის ოჯახობა ამოჰხოცა.

ადესა. უნივერსიტეტის კლინიკის ასაგებად ქალაქმა გადასდო 400,000 მანეთი და 5 დესეტინა მიწა.

აგვისტოს 11-ს, შიპკინის ბრძოლის 25 წლის თავზედ, გენერალ რადეცკის ძეგლთან გადახდილ იქმნა პანაშვიდი და შემდეგ მისცეს შედლუხი. ჯარი გაატარეს ცერემონიალ მარშით.

ხარკოვი. აქ შეჩერდა გენ. ბოგდანოვიჩი გუბერნატორ თავად ობოლენსკის მისალოცავად და პოლიცმეისტერს გადასცა ხატი.

სოხუმი. ესკადრა ახალ ათონისაკენ გაემართა, ჯავშნიანი გემი „როხტისლავი“ აგვისტოს 12-ს გაგარს წავა.

პარიჟი. ოფიციალურის ცნობებით, 47 მთავარ საბჭოს წარუდგენია მთავრობისათვის მილოცვის მდრესები; 13-ს განუცხადებია სურვილი, რომ საკონგრეგაციო სკოლები ხელახლად გაიხსნას; მეორე 13-ი პირიქით, წინააღმდეგია ამისა; ორს წარუდგენია პროექტი, სრული თავისუფლება იყოს სწავლისაო, მაგრამ სამი წინააღმდეგი ყოფილა ამ აზრისა; ოთხს დაუდგენია, საყვედური გამოუცხადოს მთავრობის მოქმედებასაო, მაგრამ ხუთს უარ უყვია ეს წინადადება.

შანხაი. ერთის ადგილობრივ მკვიდრის წერილით, რომელიც სასულიერო მისსიაში მსახურებს, მტკიცდება ის ცნობა, რომ კუნაუს ოლქში ინგლისელი მისსიონერები ბრუსი და ლიუიზი მოჰკლესო; იგინი დაუხოციათ ჯოხის ცემით.

ვერჟბოლოვო. გაიარა საზღვარ-გარედ მიმავალმა პრინცესა საკსენ-ალტერბურგისამ.

პეტერბურგის ბირჟა, 9 აგვისტო.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,15
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,80
ბერლინში ,,	46,27½
პარიჟში ,,	37,62½
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	461 მყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	352 წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	287¼ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9825 წვ. გაყ.
აქციები ,, „ „ „	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	180 წვ. გაყ.

სასამართლოს შესახები ცნობანი.

ტფილისის სასამართლო პალატის 1-ლ დეპარტამენტში 9 აგვისტოსათვის დანიშნულია სამოქალაქო საქმეთა განხილვა:

1. ალექსანდრე იაგუშოვისა და სოსია ხანდოლიშვილის დავა მამულის შესახებ.

სტეფანე მანიას და კონტარია ჩითანოვის დავა ხარზედ;

ელისაბედ თარხან-მოურავისა და ივანე ნეფედიევ-რომანოვსკის დავა აღმასრულებელ ფურცლის შესახებ

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი

რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკეობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „ „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „ „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „ „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან)	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	9 ს. 57 წ. დილ	6 ს. 22 წ. დილ
სამგზავრო „ „	6 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

განცხადება

ქ. გორში

სამეფო ქუჩაზედ, არჩუაძის და მაისურაძის წიგნის მაღაზიაში ისყიდება, დაკლებულ ფასად, შეგირდებისათვის ყოველ გვარი სახელმძღვანელო წიგნი.

(30—6.—7)

Денисовскій

მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდობრინი“ მ. ვ. ლებედევისა.

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენსამე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—სააფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

(33—6.—19)

გუმმი-პეპსინი

(Gummi-Pepsin)

პროვიზორის ი. ი. პოგოსსკისა.

სალეჭი კამფეტი პიტნა-ნარევი, საჭმელის მოსანელებელი და დიდად მარგებელი იმათთვის, ვისაც კუჭის ავადმყოფობა (катаръ) სჭირს. აგრეთვე ამცირებს თამბაქოს წევის სურვილს და უკარგავს პირში გლახა სუნს. 5-ი პრტყელი კამფეტი, წონით 15 გრამი, ღირს 20 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქებში და აფთიაქის მაღაზიებში.

(8—6.—6)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	„
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Неестественность „естественнаго“ метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„0	1
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. Ш.	3	»
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	»
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა თარგმანი ა. ნატ. გიგაურისა	„	50
ბრძნული სიტყვები	„	10
წმიდა აბო ტფილელი	„	30
ლაზარილიო ტორმესელი, ესპანიური მოთხრობა, თარგმ. ზ. უმიკაშვილისა	„	10
ტფილისი, მ. ჯანაშვილისა	„	50
თამარიანი, პოემა ს. გუგუნავასი	„	50
ნამყენი ვაზით ვენახის მოშენება ს. ქვარიანისა	„	5
სურამის ციხე, დ. ჭონქაძისა	„	15
კონსტანტინე ბატონიშვილი, თ. ხუსკივაძისა	„	5
ზღაპრები სურათებით	1	„
პაწია და ბუნგლია, სურათებით თარგმანი დ. ავალიანისა	„	30
„შოთა რუსთაველი“ მ. ჯანაშვილისა	„	40
Царица Тамара, მისივე	„	50

ფინანსთა სამინისტროს გამგეობაში მყოფი

საბუხჰალტერო კურსები

ნ. ვ. აბრაამიანისა,

ავტორისა „სავაჭრო, საქარხნო და სანავთ-მრეწველო ბუხგალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მიერ ვითარცა ხელშემწყობი წიგნი საკომერციო სასწავლებლებში სასწავლებლად.

ასწავლის და ამზადებს

ორისავე სქესის ახალგაზდებს პრაქტიკის შემწეობით საბუხგალტერო მუშაობისათვის 4 თვეში, თან ბუღლავანობასაც კისრულობს და, როცა საჭიროა, რეკომენდაციასაც გაუწევს.

სწავლების საგნები:

1) **ორ-მაგი იტალიური ბუხჰალტერია მრეწველობის ყოველ დარგისათვის, დაწმენდილის ნავთის საქარხნო წარმოებისა და ნავთ-მრეწველობის დარგის გამოუგლებლადაც-კი.** 2) **საკომერციო არითმეტიკა.** 3) **საკომერციო მიწერ-მოწერა** (**კორესპონდენცია**) 4) **სავექილო და სავაჭრო მართლიერება.** 5) **კალიგრაფია და გასწორება სულ ცუდის ხელისაც-კი წერაში.**

მოსწავლენი მიიღებიან ყოველ დღე. სწავლა დაიწყება და იწარმოებს 1902 წლის 15 სექტემბრიდან და ყოველ 4 თვეს შემდეგ კვლავ განახლდება, ყოველდღე, ნასადილევს. ფასი 60 მან. მთლად კურსისათვის. კურსის გათავებისას მოსწავლეს ეძლევა დაწესებული მოწმობა, ნება-დართული წესდებისამებრ ფინანსთა სამინისტროს მიერ. მსურველთ ვსთხოვ მიჰმართონ წერილით ანუ პირადათ კურსების დამაარსებელს ტფილისში, ნიკოლოზის ქუჩა, № 46. პროგრამა უსასყიდლოდ გაეგზავნებათ. ზემოხსენებული სახელმძღვანელო ისყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს, ფასდადებისათვის არაფერს იხდის. თითო ეგზემპლიარის ფასია 3 მან. 50 კაპ.

(25—379—17)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 12 Августа 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.